



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება:ბ93.93213631

თარიღი:29/12/2021

**ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთათვის  
წახალისების სახით ფულადი ჯილდოს განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის 1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის, მე-11 მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N203 დადგენილების „პროფესიული საჯარო მოხელის წახალისების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საბოლოო (წლიური) შეფასების შედეგების გათვალისწინებით, აპარატის მოხელეებზე წახალისების სახით გაცეს ფულადი ჯილდო, კანონმდებლობით დადგენილი წესის საფუძველზე, დანართის შესაბამისად.
2. ბრძანების ფინანსურ ნაწილზე კონტროლი დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ვარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

